

MDF –ი ქართულ მედიაში ანტიდასავლურ და ანტიამერიკურ გზავნილებს ითვლის



მედიის განვითარების ფონის (MDF) კვლევის მიხედვით, 2017 წელს 17 მედიასაშუალებაში სულ 1 967 ანტიდასავლური კომენტარი გავრცელდა. წინა წლებთან შედარებით თითქმის გასამმაგებურია ანტიამერიკური

გზავნილები (25,9%), რომელთაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (18,4%) და დასავლეთი (14,1%) მოსდევენ.

2016 წელთან შედარებით გაორმაგებურია გზავნილები ევროკავშირის წინააღმდეგ (13,4%). ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო, წინა წლების მსგავსად, მედია (827) იყო, რომელსაც პოლიტიკოსები (463) და საზოგადოება (411) მოსდევენ. შემდეგ აღვირბე არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები (230) და სასურდო პირები (37). შედეგები ტერვებიის ოთხი მთავარი საინფორმაციო გამოშვების, ხუთი ტოქ-შოუს, შვიდი ონლაინგამოცემისა და ოთხი გაზეთის მონიტორინგის შედეგად გამოვრინდა.

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

2017 წელს მონიტორინგის სუბიექტ 17 მედია საშუალებაში სულ 1967 ანტიდასავლური კომენტარი გამოვრინდა.

2015-2016 წლებისგან განსხვავებით, როცა დომინანტი ადამიანის იდენტობასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნეგატიური გზავნილები იყო, 2017 წელს წინა პლანზე საგარეო პოლიტიკურმა თემატიკამ წამოიწია, რაც საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე პოლარიზაციის გაზრდას ისახავს მიზნად. ასეთი ცვლილება

კრემლისტური აქტორების კომუნიკაციის სტრატეგიაში აჩვენებს, რომ „იდეენტობის დაკარგვის საფრთხე“ უფრო ტაქტიკური გზავნილი იყო, რომელმაც საწყისს ეტაპზე ნიადაგი შეამზადა, ხოლო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების (ამერიკა, NATO, ევროკავშირი) დემონიზებაზე მიმართული გზავნილები უფრო სტრატეგიული ხასიათისაა.

წინა წლებთან შედარებით თითქმის გასამმაგებურია ანტიამერიკული გზავნილები (25,9%), რომელთაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (18,4%) და დასავლეთი (14,1%) მოსდევენ. 2016 წელთან შედარებით გაორმაგებურია გზავნილები ევროკავშირის წინააღმდეგ (13,4%), მაშინ, როცა იდეენტობის დაკარგვასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ანტიდასავლურ კონტექსტში გაკეთებული კომენტარები (12,9%) თითქმის განახევრებულა.

არასამთავრობო ორგანიზაციების და ამერიკელი ფილანტროპის ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები 7,3%-ს შეადგენს და 2016 წელთან შედარებით თითქმის გასამმაგებურია, რაც უდრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურებით და ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს წინააღმდეგ მათ მიერ წარმოებული კამპანიით უნდა იყოს განპირობებული. წინა წლებისგან განსხვავებით, ასევე ვხვდებით უფრო მკაფიო შეფასებებს რუსეთის დასავლეთის ადრენატივად წარმოჩენისა და საბჭოთა კავშირის იდეალიზების მხრივ (7,2%). დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ კომენტარებს (0,8%) ძირითადად 2 კრემლისტურ გამოცემაში – „საქართველო და მსოფლიო“ და „საქინფორმი“ ვხვდებით.

ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო, წინა წლების მსგავსად, მედია (827) იყო, რომელსაც პოლიტიკოსები (463) და საზოგადოება (411) მოსდევენ. შემდეგ ადგილზე არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები (230) და სასურდო პირები (37).

მთავარი მიზნები



ქართულ დისკურსში კრემლის ნარატივის სტრუქტურა 3 საფეხურიანია და მიზნად ისახავს: 1. საფრთხეების შექმნას; 2. პარტნიორების და დასავლური ინსტიტუტებისადმი უნდობლობის დათესვას; 3. საფრთხეებთან ბრძოლაში რუსეთის უარტერნატივობის და ავტორიტარული/საბჭოური მიმართველობის საჭიროების აზრის დამკვიდრებას.

გამოიკვეთა 4 ძირითადი საფრთხე, რომლის მიმართაც კრემლისტური აქტორები შიშს თესავდნენ. ესენია: ომის საფრთხე, ტერიტორიების დაკარგვის, ბიოლივერსიის, იდენტობის დაკარგვის.

144 ყარბი ინფორმაციის გადამოწმებისას გამოვჩინდა, რომ მედია საშუალებები ხშირად იყენებდნენ ფოტო და ვიდეო მანიპულაციებს, სოციალურ მედიას, როგორც ყარბი ინფორმაციის ცარმხრივ წყაროს, ისტორიის ფაბრიკაციას, დიტერატურული ნაწარმოების/სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენის მეთოდს, კონსპირაციებს.

ისტორიის ფაბრიკაციაში ყვერაზე დიდი წიდი საბჭოთა წარსულის გაყარბებაზე და საბჭოთა წყობის მიმართ ნოსტარგიის გაღვივებაზე მოდის. აქტიურად გამოიყენებოდა დეფდექციური წყაროს მოდერი, როცა გზავნილის ან ყარბი ინფორმაციის რეგიტიმაციის მიზნით, პროპაგანდისტი ქმნის დეფდექციურ წყაროს, რომედსაც ინფორმაციის მიმღები არ აკავშირებს პროპაგანდისტთან და იმ მედიუმის (დეფდექციური წყაროს) ინფორმაციად აღიქვამს, რომედშიც ის გამოქვეყნდა.

გამოიკვეთა 4 ძირითადი მედია (Geworld.ge, საქინფორმი, ტვ „ობიექტივი“, „ასავად-დასავადი“), რომელიც ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო იყო. პარტიებიდან ანტიდასავლური გზავნილების მხრივ, 2016 წლის მსგავსად, კვლავ გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა (130) რიდერობს, რომელსაც პატრიოტთა აღიანსი (91), ქართული დასი (44) და სოციალისტური საქართველო (40) მოსდევენ.

მედია მონიტორინგის შედეგად სურ 33 საზოგადოებრივი ორგანიზაციის ანტიდასავლური გზავნილი გამოვლინდა, რომელთაგან ყველაზე აქტიური უდტრამემარჯვენე გაერთიანება „ქართული მარში“, გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული „სახადხო კრება“, „ევრაზიური ინსტიტუტი“, „უფრებადამცველთა გაერთიანება“, „გლობალური კვლევების ცენტრი“ და „სტარინი“ იყო. მიუხედავად იმისა, რომ კრემლისტური გზავნილები სისტემურად და ცენტრალიზებულად ვრცელდება, მათი გავრცელების არხები საკმაოდ ფრაგმენტიზირებულია (მუდმივად ჩნდება ახად-ახადი ონლაინ პლატფორმები, არასამთავრობო ორგანიზაციები), რაც ახად მედია ეკოსისტემაში მათ სისტემურ მონიტორინგსა და გავრეწვის გაზომვას ართულებს.